

განმარტებითი ბარათი
„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში დამატების შეტანის თაობაზე“
საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი;

კანონპროექტის მიღების მიზეზია „საჯარო სამსახურის შესახებ“ მოქმედი საქართველოს კანონის ჰარმონიზაცია „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ევროპული ქარტიისა და ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მოთხოვნებთან.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი;

კანონპროექტის მიზანია კანონით უზრუნველყოფილი იქნეს საკრებულოს წევრთა უფლება შრომითი საქმიანობის მოუწყვეტლად მონაწილეობა მიიღონ საკრებულოს მუშაობაში.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი;

კანონის 89-ე მუხლს ემატება ვ¹ ქვეპუნქტი, რომლითაც საჯარო დაწესებულებაში საჯარო მოსამსახურეს სამსახურეობრივი ურთიერთობის შეჩერების საფუძვლად განისაზღვრება საკრებულოს წევრის მიერ „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და „ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს წევრის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელება.

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ორგანული კანონის 32-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად „საკრებულოს წევრი თავის უფლებამოსილებას ახორციელებს საწარმოო ან სამსახურეობრივი საქმიანობისაგან მოუწყვეტლად.“ საქართველოს მოქმედი კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“ არ ითვალისწინებს საჯარო დაწესებულების ვალდებულებას შეუჩეროს სამსახურეობრივი ურთიერთობა საჯარო მოსამსახურეს, როცა იგი, როგორც საკრებულოს წევრი, კანონის შესაბამისად ახორციელებს საკრებულოს წევრის ვალდებულებას (მონაწილეობს საკრებულოს, ან საკრებულოს კომისიის სხდომებში). აღნიშნული ეწინააღმდეგება როგორც ორგანული კანონის, ისე „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ევროპული ქარტიის მე-7 მუხლის მოთხოვნას წარმომადგენლობითი ორგანოს წევრის მიერ საკუთარი უფლებამოსილების თავისუფალი განხორციელებისა და უფლებამოსილების განხორციელებისას ფინანსური ხარჯების ან დაკარგული შემოსავლის კომპენსაციის შესახებ.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 88-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „სამსახურეობრივი ურთიერთობის შეჩერების პერიოდში მოხელეს კანონით დადგენილ შემთხვევებში და წესით უნარჩუნდება თანამდებობრივი სარგო, დანამატები ან ეძლევა სხვაგვარი კომპენსაცია“. შესაბამისად, კანონპროექტის მიღებასთან

დაკავშირებით ხარჯების დაფინანსების წყაროა შესაბამისი საჯარო დაწესებულების ბიუჯეტი.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე;
კანონპროექტი გავლენას არ ახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე;
კანონპროექტი უმნიშვნელოდ ზრდის საჯარო დაწესებულების ბიუჯეტის ხარჯებს

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები;
კანონპროექტი არ არის დაკავშირებული სახელმწიფოს მიერ ახალ ფინანსურ ვალდებულებებთან

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება;
კანონპროექტის მიღების შემთხვევაში, საკრებულოს ის წევრები, რომლებიც თავის უფლებამოსილებას ახორციელებენ საწარმოო ან სამსახურეობრივი საქმიანობისგან მოუწყვეტლად, მიიღებენ შრომითი ურთიერთობის შეჩერების პერიოდში შრომითი ანაზღაურების სრულ კომპენსაციას.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი);
კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის შემოღებას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან.
მასში აღინიშნება:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან;
კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან;
კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან;
კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები. მასში აღინიშნება:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

დ.გ) კანონპროექტის ავტორი;
ეფექტიანი მმართველობის სისტემისა და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრი.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი.
საქართველოს პარლამენტის წევრი ვანო ხუხუნიაშვილი